ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციები

ირაკლი კოღუა
სტუ-ს დოქტორანტი
საქართველოს პროკურატურის
დეპარტამენტის სპეციალისტი
E-mail: iraklikoghua@yahoo.com

რეზიუმე

სტატიაში – ***„ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციები“*** წარმოდგენილია მათი დაარსების საჭიროება, ამოცანები და მიზნები, შესასრულებელი ფუნქციები, ეროვნული სახელმწიფოების ჩართულობა მათში და ა. შ.

განსაკუთრებით დახასიათებულია FATF, „ეგმონტის” ჯგუფი,MONEYVAL და ევრაზიის ჯგუფი (EAG). ნაჩვენებია მათთან საქართველოს ფინანსური დაზვერვის სამსახურის კავშირი.

საკვანძო სიტყვები:
ფულის გათეთრება
ლეგალიზაცია
ბრძოლა
უკანონო შემოსავალი

შესავალი

არალეგალური შემოსავლებისთვის კანონიერი სახის მიცემის პროცესმა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, ანუ „ფულის გათეთრების“ სახელწოდება მიიღო. ფულის გათეთრების მოვლენა ახალი არ არის. მისი მსგავსი ფაქტები ჯერ კიდევ ძველ დროში იყო ცნობილი. მაგალი-თად, შუა საუკუნეების ევროპაში მევახშეობა როგორც უკანონო შემოსავლების მიღების ფორმა, კათოლიკური ეკლესის მიერ ცოდვად აღიქმებოდა. ასეთივე იყო მეკობრეების მიერ ნაშოვნი ქონება და ა. შ.

დღეს უკანონო შემოსავლებმა არნახული მასშტაბები შეიძინა. კოლოსალური გახდა გასათეთრებელი ფულის მასშტაბებიც. FATF-ის მონაცემებით შავი ფულის ლეგალიზაციის საერთო თანხა აჭარბებს 3 ტრილიონ აშშ დოლარს წელიწადში [1, გვ. 92]. ამ ვითარებამ მსოფლიო საზოგადოებას დაანახა არნახული სიდიდის ანტისაზოგადოებრივი საშიშროება, რომელსაც მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით ბრძოლა სჭირდება. შედეგად, XX საუკუნის 80-იან წლებიდან დაიწყო კიდეც ამ პროცესთან საბრძოლველად საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა.

1. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციები.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია იბრძვის. მათ რიცხვშია:

- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა ჯგუფი (FATF);
- “ეგმონტის” ჯგუფი;
- აზია-წყნარი ოკეანის ფულის გათეთრებისადმი წინააღმდეგობის ჯგუფი (APG);
- კარიბის ფულის გათეთრებისადმი წინააღმდეგობის ფინანსური ჯგუფი (CEATF);
- ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისადმი წინააღმდეგობის ღონისძიებათა შეფასების ექსპერტთა ნაკრები კომიტეტი (MONEYVAL);
- სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისადმი წინააღმდეგობის ჯგუფი (ESAAMLG);
- ევრაზიის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფი (EAG);
- ფულის გათეთრებისადმი წინააღმდეგობის ჯგუფთან (FATF);
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
- ინტერპოლი;
- ფულის გათეთრებისადმი წინააღმდეგობის საერთაშორისო-საინფორმაციო ქსელი (IMOIN);
- ოფშორებისადმი საბანკო ზედამხედველობის ორგანოების ჯგუფი (OGBC) და სხვები.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლ ამ მრავალრიცხოვან ორგანიზა-ციე-ბიდან როგორსაც შესრულებული სამუშაოს მასშტაბით, ისე დაფინანსების მოცულობით ყველაზე რეპრეზენტატიული ორგანიზაციები არიან: ფულის გათეთ-რების წინააღმდეგობის ჯგუფი (FATF),„ეგმონტის“ ჯგუფი, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისადმი წინააღმდეგობის ღონისძიებათა შეფასების ექსპერტთა ნაკრები კომიტეტი და (MONEVAL) და ევრაზიის ჯგუფი (EAG). განხილოთ ისინი.

2. ფულის გათეთრების წინააღმდეგობის ჯგუფი.

1989 წლის ივლისში, პარიზში „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების მეთაურების შეხვედრაზე შეიქმნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი FATF-ი (Financial Action Task Force). მისი ოფისი განთავსებულია ქ. პარიზში OECD-ის შენობაში.

FATF-ის სტრუქტურაში შედის სამი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც შემდეგი საქმიანობით არიან დაკავებულნი [2, გვ. 11].

- **პირველი ჯგუფი** – სტატისტიკისა და დამნაშავეობის მიერ გამოყენებული სქემების შესწავლა;
- **მეორე ჯგუფი** – უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხები;
- **მესამე ჯგუფი** – რეკომენდაციების, კონკრეტული წინადადებების და ადმინისტრაციულ-ფინანსური ზომების შემუშავება.

FATF-ი ამჟამად ითვლება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცის წინააღმდეგ მებრძოლ ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციად. მისი მიზანია ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციას საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება საერთაშორისო დონეზე, ამ მიმართულებით ერთიანი პოლიტიკის წარმართვა, მონაწილე ქვეყნების კოორდინაციის დონის გაზრდა და სხვა. FATF – ასრულებს თავისებური ფინანსური ინტერპოლის როლს [3, გვ. 240].

FATF-ის საქმიანობაში ყველაზე მთავარი არის რეკომენდაციები (ფულის გათეთრების აღსაკვეთად), რომელიც მან შეიმუშავა 1990 წელს და რომელიც საერთაშორისო სტანდარტად იქცა. FATF-ის რეკომენდაციები ეხება ყველას, სადაც შეიძლება ფულის გათეთრება – საბანკო დაწესებულებებს, ბირჟებს და ა.შ. FATF-ის რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ „ფინანსური დაწესებულებანი მოვალენი არიან კომპეტენტურ ორგანოებს მოახსენონ საეჭვო ოპერაციების შესახებ“ [4, გვ. 21]. თავდაპირველად შემუშავებული იყო 40 რეკომენდაცია, 2003 წელს მას დაემატა ტერორიზმის დაფინანსებათან დაკავშირებული 9 სპეციალური რეკომენდაცია. ამ რეკომენდაციების ერთი ნაწილი დღეს თითქოს ტრივიალურია (მაგალითად ასეთი: „ფინანსურმა დაწესებულებებმა სულ მცირე 5 წლის განმავლობაში უნდა შეინახონ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი“), მაგრამ 90-იან წლებში, როცა ეს რეკომენდაციები შემუშავდა და დაიგზავნა შესასრულებლად, მას ფინანსურ სფეროში რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა.

FATF-ის რეკომენდაციების გავლენა და მნიშვნელობა უზარმაზარია. მათ აჩვენეს, რომ მსოფლიო საზოგადოებას აქვს თვითორგანიზების კარგი მექანიზმი და რომ მას შეუძლია აღკვეთოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო დანაშაულობები.

3. „ეგმონტის“ ჯგუფი.

FATF-ის მსგავსი დანიშნულების საერთაშორისო ორგანიზაცია არის „ეგმონტის“ ჯგუფი. იგი შეიქმნა 1995 წელს. სახელი მან მიიღო პირველი შეკრების ადგილის სასახლე – ეგმონტ-არენბერგის (ქ. ბრიუსელი) სახელწოდებიდან.

„ეგმონტის“ ჯგუფში ამჟამად 126 ქვეყნის ფინასური მონიტორინგის უწყებაა გაერთიანებული. 2004 წლიდან მისი წევრია საქართველოც.

„ეგმონტის“ ჯგუფის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური დაზვერვის უწყებებს შორის თანამშრომლობის კოორდინაციისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ფინანსური დაზვერვის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. „ეგმონტის“ ჯგუფში ინფორმაციის გაცვლისთვის შეიქმნა და ფუნქციონირებს საინფორმაციო ცენტრი „უსაფრთხო Cemb-ეგმონტი“. იგი უზრუნველყოფს ფინანსური მზვერავების უსაფრთხო ურთიერთკავშირს უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით [4, გვ. 161].

4. ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL).

ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1997 წელს და მოქმედებს ევროპის საბჭოს მანდატით. იგი ევროპის საბჭოს წევრი 27 ქვეყნის ინიციატივით არის შექმნილი და შექმნისთანავე მის მიზნად განისაზღვრა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებთან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სისტემების შესაბამისობის შეფასება. ამ შეფასებების შედგენის დროს მოცემული კომიტეტი ეყრდნობა FATF-ას რეკომენდაციებსა და მათი პრაქტიკაში დანერგვის პრაქტიკას. შესრულებულ სამუშაოს შედეგების ანაგრიშსაც ეს კომიტეტი FATF-ას აბარებს.

საქართველო არის MONEYVAL-ას წევრი. ამ კომიტეტში საქართველოს წარმოადგენენ: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

2006 წლის აპრილში ამ კომიტეტმა პირველად მოახდინა საქართველოში ფულის გათეთრებ-

ის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ვითარების ადგილზე შესწავლა და შეფასება. შემოწმება ატარებდა კომპლექსურ ხასიათს და ეხებოდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპსა და ასპექტს. მომზადებული ანგარიში განხილული იქნა FATF-თან ერთობლივ სხდომაზე და საქართველოს ამ მიმართულებით მრავალი შენიშვნა და რეკომენდაცია მიეცა. შემდეგში ქართულმა მხარემ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით იმუშავა და მის მიერ წარდგენილი ანგარიში 2010 წლის 15-18 მარტს სტრასბურგში კომიტეტის 32-ე სხდომაზე დადებითად იქნა შეფასებული [5].

5. ევრაზიის ჯგუფი (EAG).

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ მებრძოლია ევრაზიის ჯგუფიც (EAG). იგი 2004 წელს შეიქმნა. საქართველო, ბელორუსიასა, ყაზახეთსა, ყირგიზეთსა, ჩინეთსა, რუსეთსა, ტაჯიკეთსა, თურქმენეთსა და უზბეკეთთან ერთად შედის EAG-ის იურისდიქციაში. EAG-ის ძირითადი ამოცანებია:

- ტერორიზმის დაფინანსებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცის წინა-აღმ-დეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების გავრცელება ევრაზიის რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით;
- ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფის კომპეტენციის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის შეფასება;
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის პროგრამის კოორდინაცია.

6. დასკვნა

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ეს საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურ მუშაობას ახორციელებენ ამ სფეროში. საქართველოს ფინანსური დაზვერვის სამსახური გაწევრიანებულია მათთან და მჭიდროდ თანამშრომლობს. ეს ხელს უწყობს ქართველ სამართალდამცავებს და საჯარო მართვის მოხელეებს დროზე და სწორად მიაგნონ იმ გზებს, ადგილებს და დამნაშავე პირებს, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებულნი.

/fms.gov.ge/?lang=geo&menu=24(17.04.2016).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мельников В., Мовсесян А., Противодействие легализации отмывания незаконных доходов, М., 2007.
2. Robinson J., The Laundrymen-Inside Money Laundering. The World's Third Largest Business, 2008.
3. ბარალჯიშვილი ი., დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა, თბ., 2010.
4. ვახანია ვლ., მსოფლიოს ფინანსური დაზვერვები, თბ., 2008.
5. საქართველოს ფინასური მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი http:/

REFERENCES:

1. Melnikov V., Movsesyan A., Money Laundering Support Prevention, M., 2007
2. Robinson J., The Laundrymen-Inside Money Laundering. The World's Third Largest Business, 2008.
3. Baraljishvili I., The Economy of Crime and Conviction, Tbilisi, 2010
4. Vakhania Vl. World Financial Intelligence, Tbilisi, 2008
5. Official website of the Financial Monitoring Service of Georgia
http://fms.gov.ge/?lang=geo&menu=24 (17.04.2016)

INTERNATIONAL ORGANIZATIONS FIGHTING AGAINST MONEY LAUNDERING

IRAKLI KOGHUA
PhD student of GTU
E-mail: iraklikoghua@yahoo.com

Summary

The article addresses the necessity of establishing of the organizations fighting against money laundering; explains functions, goals of such organizations, their cooperation with the national governments, etc.

Special attention is given to the FATF, Egmont Group, MONEYVAL and EAG. The article also refers to the connection between above mentioned organizations and Georgian financial supervision unit.